## ინა ვოლოსევიჩი

ინა ვოლოსევიჩმა წარჩინებით დაამთავრა კიევის მოჰილას აკადემიის ეროვნული უნივერსიტეტი და ფლობს მაგისტრის ხარისხს სოციოლოგიის მიმართულებით. მას სოციალური კვლევების ცხრამეტწლიანი გამოცდილება აქვს. ამჟამად ინფოსაპიენსის დირექტორის მოადგილეა. ინფოსაპიენსი უკრაინის უდიდესი კვლევითი ორგანიზაციაა (საერთაშორისო კორპორაციების წარმომადგენელთა შემდეგ ინფოსაპიენს მსოფლიოში მეექვსე ადგილი უჭირავს, ხოლო უკრაინულ კომპანიებს შორის პირველია ბაზარზე).

ინა კვლევით და საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევდა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორებიცაა: ბი სი ჯი, ბრიტანეთის საბჭო, ქემონიქსი, ევროპის გადამზადების ფონდი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია, უკრაინის გადაუდებელ ვითარებათა სახელმწიფო სამსახური და ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია მოლდოვაში. ასევე მონაწილეობდა ევროკავშირის პროექტებში უკრაინაში და თანამშრომლობდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, საერთაშორისო რენესანსის ფონდთან, საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან, ინტერნიუს უკრაინასთან, მაქკენზი და კომპანიასთან, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროსთან, უკრაინის ეროვნულ ბანკთან, ეუთოსთან, უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურთან, უკრაინის ჯანმრთელობის სამინისტროს სახიფათო დაავადებათა კონტროლის ცენტრთან, აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან უკრაინაში, გაეროს აივ ინფექციის და განვითარების პროგრამასთან, გაეროს ბავშვთა ფონდთან, გაეროს მოსახლეობის ფონდთან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან უკრაინაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან, მსოფლიო ბანკთან და სხვ. ინნა ვოლოსევიჩი საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის კვლევის ევროპის საზოგადოების წევრია.